დროება

ზამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, Артемъ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში—8 მან., ნახევარ წელიწადი—4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

Цѣлый номеръ—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

Даубечѣдели სტატია ავტორს არ დაუბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

„დროების“ რედაქცია სთხოვს თავის აგენტებს და ხელის-მომწერლებს, რომ, რადგან ეს წელიწადი თავდება და მალე ახალი, მომავალი წლის ხელის-მოწერა უნდა გაიმართოს, ამის გამო წლევანდელი გაზეთის ფული, ვისაც არ გამოუგზავნია, რაც შეიძლება მალე გამოგზავნონ.

ორი თვის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება თფილისში—გაზეთის რედაქციაში (ველიამინოვის ქუჩაზე, ჩაიგეშტოვის სახლებში, № 6); გარეშე ქალაქებში—„დროების“ აგენტებთან.

ფასი ორი თვის გაზეთისა ე. ი. 1 ნოემბრიდამ მომავალი წლის 1 იანვრამდინ—2 მანეთი. მთელი წლის სრული ნომრები მხოლოთ რამდენიმეა დარჩენილი,—ღირს—8 მან., ნახევარის წლის—4 მან. და 50 კაპ., ერთის თვისა—1 მან.

საქართველო

სიტყვა და საქმე

ძნელად თუ სადმე სხვა ქვეყანაში და საზოგადოებაში ნახავს კაცი ისეთს განსხვავებასა და თანხმის წინააღმდეგობას სიტყვასა და საქმეს შუა, როგორც ჩვენში.

ყველა, ვისაც კი ცოტაოდენი რამ განათლება მიულია ჩვენში, ყველა, ვისაც რამე უსწავლია, წიგნში ამოუკითხავს ან გაუგონია, ყველა ტკბილად ლაპარაკობს, გულ-შემტკივნელად გეჩვენებათ საზოგადო საქმეებისათვის, ხალხის, მდაბიო ხალხის ბედზე შემოგტირისთ, სამშობლოს სიყვარულს გიცხადებს და გაცხარებული მოამხრეა ქვეყნის ყოველმხრივ წინ-წაღწევისა, წარმატებისა.

უცხო კაცმა რო ამათს ლაპარაკს ყური დაუგდოს, აღტაცებაში მოვა და იტყვის: „ნეტავი საქართველოს, რა კარგი შვილები ჰყოლიაო!“

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ამას მხოლოთ უცხო კაცი იტყვის და არა ის, რომელიც ამ ტკბილ-მოლაპარაკეთა და მოღაღადეთ კარგათ იცნობს და რომელიც აქ, ჩვენში, ამათ სიტყვასაც ისმენს და საქმესაც ჰხედავს.

აი, ესთქვათ, ეს ერთი ყველასაგან პატივცემული, ყველასაგან ჭკვიანად ნაცნობი პირი; თხუთმეტი წელიწადია, რაც უმაღლესი სწავლა დაუსრულებია. მას აქეთ ყველგან და მუდამ იმას ამბობს და ჰყვირის, რომ ჩვენი ხალხი თან-და-თან ეცემაო, მხნეობა აკლდება, თითქო ცხოვრება მოსწყენიაო. ბამოღვიძება ეჭვრება იმას, გამხნევება, ენერგიული მოთავე პირები წინ უნდა გაუძღვეთო!

და რას აკეთებს ეს კაცი? მამული აქვს, ჩინებული, კარგი შემოსავლიანი მამული; ყოველ წლობით აიღებს—უკაცრავად: თვითონ არც კი აიღებს, მოურავისაგან მიიღებს—ორსამ ათას მანეთს გლეხების „ნადელებისა“ და სხვა შემოსავლის ფულს, დაბრძანებულა ქალაქში და უდარდელად ცხოვრებს.

აი მეორე, აგრეთვე განათლებული თავადიშვილი, რომელიც საქვეყნოთ ქადაგობს უზენაესს პრინციპებზე: ძმობაზე, ერთობაზე, პატრიოტობაზე. მაგრამ საქმით კი ამ ჩინებულ კაცს, არა თუ ამ პრინციპების სისრულეში მოსაყვანად, განსახორციელებელად თავის დღეში ხელი არ გაუნძრევია, ბოროტი ენები ამბობენ, რომ თავის გლეხებს უპანასკნელ ტყავს აძრობსო და თუ სადმე ეინმე იხელთა, მტყუანსა და მართალს არ დასდევს, ოღონთ თავის ჯიბეს რაიმე შეჰმატოსო.

ესეც მესამე,—ეს ადვოკატია; უმაღლესი სწავლა ამასაც დაუსრულებია. სასამართლოებში ამის ლაპარაკს რო ყური დაუგდოთ, იტყვით: „აი პატიოსანი, ნამდვილი კაცური კაცი ეს უნდა იყოსო!“ ბაცხარებით, გრძნობით ლაპარაკობს პატიოსნებაზედ, სამართლიანობაზედ და ჭეშმარიტებაზე! მაგრამ იგივე ბოროტი ენები ამტკიცებენ, რომ ამ კაცმა ერთს გლეხს უკანასკნელი სამოსახლო ადგილი გაუყიდა თავის ეალში. ამტკიცებენ კადევ, რომ სარგებლით ასესხებს ფულსაო, თუმცა ბევრ სარგებელს კი არ იღებსო: თუმანზე მხოლოდ ოთხ მანეთს წელიწადშიო!

აი მეოთხე—ნასწავლი ჩინოვნიკი. ამბობს, ჩინოვნიკობა სრულიად ჩემი საქმე და დანიშნულება არ არის; ლუკმა-პურისთვის ემსახურებ. მაგრამ, ღვთით, აქაც, ჩინოვნიკობაშიაც, ჩემი შრომა უნაყოფოდ არ მიდის: საცა უსამართლოდ დაჩაგრული კაცი ანუ საწყალი, ღატაკი გლეხი შემხვდება, ხელს ვუწყობ, რითაც შემიძლიან და ბევრი ამგვარები გამომიხსნია უბედურ მდგომარეობიდამ. ამას ამბობს, მაგრამ საქმით კი... იმის ხელ-ქვეშეთი გლეხები ამბობენ, ნეტავი ამას მოგვაშორებდნენ აქედამ და მადლიერნი დავრჩებითო...

მეტი ჩამოთვლა საჭირო არ არის; ისეც ყველა ხედავს, რომ ამ დროინდელი ჩვენი ნასწავლი თაობის მომეტებული ნაწილი სიტყვით ერთია და საქმით სხვა.

ფელეტონი

რამდენიმე დღე კაპრერაზედ *)

(Александра Иаковъ)

წერილის წაკითხვის შემდეგ, ბარიბალდიმ გამოკითხა,—როგორ ცხოვრობენ ქასტელლაცო, რიჩიოტტი და სხვ...როგორც ეტყობოდა, ქასტელლაცოს და რიჩიოტტის უბრობა და ერთმანერთის დაშორება ძრიელ აწუხებდა, რადგან ორნივ ერთი და იგივე მიზნისათვის შრომობენ.

ქასტელლაცო ძრიელ შორს-მჭვრეტელი და ადამიანის მალე გაძღები კაცია; იმას არ მოსწონს რიჩიოტტის ცრუ-დემოკრატი მეგობრები.

რიჩიოტტის არავის რჩევა არ უყვარს; ამისათვის ისინი სხვა და სხვა წრეში მოქმედებენ.

ბარიბალდი დიდის სინანულით ლაპარაკობდა, და თავის შვილს უფრო ამტყუნებდა. მერე დაიწყეს ლაპარაკი იტალიის მმართებლობის ცრუ-დემოკრატებზე და პატრეზეზე; ამ უკანასკნელებზე ბარიბალდი ძრიელ გაცხარდა,—მიუბრუნდა ჩემ თანამგზავრებს და უთხრა:

— თუ ჩემ რჩევას მიიღებთ, მე ამას გირჩევთ, რომ ეგ გარდამდები სენი ამოფხვნათ; ამას თხოულობს თქვენგან სნეული იტალია; შეერთდით ერთ სახლობათ და მაშინ მეც თქვენთან ვიქნები.

— ეხლა კი, მომიბრუნდა მე და მითხრა, მე თქვენ მოსვენებას გირჩევთ, და ამისა გამო, გთხოვთ მიბძანდეთ თქვენთვის მომზადებულ ოთახში. ბასსო, გთხოვთ ესენი თავის ოთახში მიაკილოთ.

ბასსომ წამიყვანა ჩემი ოთახის გასაშინჯავათ. ტალანი რომ გავიარეთ, ტერეზიტტას, ბარიბალდის ქალის, ორ ოთახში შეველით. მიდრემდინ ტერეზიტტა ქანციოს ქმრად შეირთამდა, შინამ ეს ორი ოთახი იმას და მ..ს ინგლისელ გუვერნანკას ეჭირათ. ეხლა კი ამ ორ ოთახთაგ ნი ერთი რიჩიოტტის ეკუთვნის, და როცა ის აქ არ არის, მაშინ სხვა ხალხისათვის არის ხოლმე. პირველს, დიდ ოთახში აწყვია მშვენიერი სხვა და სხვა გვარი ძვირფასი; კედელზე ჰკიდია ჩიჩეროვაკიოს და ბარიბალდის სხვა თანა-მოღვაწის სურათები; ბუხარზე და სტოლზე ალაგია ბარიბალდის ძეგლის პროექტები, რომლებზედაც ყოველთვის ბარიბალდი უარს ჰყოფს, და რაც იმის ძეგლს ფული მოუნდება, იმას უფრო სასარგებლო საქმისათვის დანიშნამს ხოლმე.

ასე მოექცა ერთხელ იმ ფულებს, რომელიც ფრანცუზებმა იმ განზრახვით მოაგროვეს, რომ იმისათვის ბიჭონში ძეგლი აეგოთ. ყველამ იცის, რომ ბარიბალდიმ იმ ძეგლის დამდგმელებსა სთხოვა, რომ ეს ფულები იმ სახლობაებისთვის გაეყოთ, რომლებმაც ამ უკანასკნელ ომისა გამო ბევრი გაჭირვება გამოიარესო.

მე ისიც კარგათ მახსოვს, რა პასუხიც მისცა იმან, როდესაც ერთხელ ჩემთანა სთხოვეს, რომ რომში ის ვილლა ეყიდნათ მისთვის, სადაც ბარიბალდი 1849 წ. იბრძოდა. „მე მსურს“, სთქვა ბარიბალდიმ, რომ თუ უეჭველად იმათ უნდათ, მე იმ ვილლის პატრონად გამხადონ, დიდ სახლში გარიბალდიელების შვილებისათვის სასწავლებელი გამართონ, პატარაში კი ხელობის მასწავლებლებმა იცხოვრონ. პარკში გიმნასტიკა გამართონ, და რომელიც უფრო მომცრო სახლებია, ჩემ ღარიბ ინვალიდებისათვის თავშესაფარი. მხოლოდ ამ პირობით მივიღებ მაგ საჩუქარს.“

რიჩიოტტის ოთახში, რომელიც ეხლა ჩემთვის იყო დანიშნული, სრულიად არაფერი მებელი არ ეწყო, მაგრამ ყოველგვარ წიგნებით კი სავსე იყო: ამ წიგნებში მე შემხვდა: დეკლოსტრას „მითოლოგია“, დანტეს „ღვთაებრივი ქომედია“, გეოლოგიის სახელმძღვანელო წიგნი, შექსპირის თხზულებანი, ქიმიის შესახები წიგნები, ვარსკვლავთ-მრიცხველობისა, პოლიტიკურ ეკონომიისა და განსაკუთრებით სოციალური სწავლის შესახები.

ოთახის შუა იდგა დიდი სტოლი, რომელიც ბლომად მტვერ დადებულ გაზეთებით იყო სავსე; ერთ კუთხეში ქვეშაგები იყო გამართული, რომელსაც ტილოს ბალდახინი ჰქონდა გაკეთებული; მეორე კუთხეში სამი ხიშტებიანი თოფი ეყუდა. ქედლებზედაც რამდენიმე დამბაჩები და ხანჯლები ეკიდა.

სადილისათვის დაგვიძახეს; საათს დავხედე და ვნახე, რომ ჯერ მხოლოდ ათი საათის ნახევარი იყო.

— ღვინერალი დილით ხუთი საათის ნახევარზე დგება, ამისხნა მე ბასსომ, სვამს თხის რძესა და ხან ყავას, და მერე კუნძულზე სასეირნოთ მიდის ხოლმე; მერე შვიდ საათზე დაბრუნდება,—და დაიწყებს წერაკითხვას და მერე კი ვისადილებთ ხოლმე. როდესაც ჩვენ მარტონი ვართ, ჩვენი სადილი დიდ ხანს არ გრძელდება; მცირე ხანს ჩვენთან ლაპარაკის შემდეგ, ბარიბალდი წავა და ორ საათს მოისვენებს ხოლმე და მერე ხელ-მეორეთ შეუდგება საქმის კეთებას. საღამოზე, რვა საათამდინ დასეირნობს, მერე, ვახშმის მაგივრად კიდევ ერთ ფინჯან რძეს დალევს, და შემდეგ კი სრულებით ჩაწვება ქვეშაგებში.

მისაღებ ოთახში რო შეველით, სუფრა გაშლილი კიდეც დაგვხვდა. ბარიბალდი იმ ოთახში არ იყო. სუფრის მაგივრად, სტოლზე ახალი კლიონკა ეშალა. სტოლზე სამი დიდი მწვანე ბოთლი იდგა; ორი ღვინით და ერთი წყლით სავსე;—გარდა ამისი, სტოლზე კიდევ ეწყო: ყველი, გა-

*) „Дроэба“, № 113.

ერთ ევროპის ქვეყანას რომ ჩვენი ქვეყნის შედარებას გავბედავდე, მე ვიტყოდი, რომ ახლანდელი ჩვენი მდგომარეობა ჰგავს იმ მდგომარეობას, რომელშიაც ამ ასი წლის წინათ, იყო ის ქვეყანა. როგორც მაშინ იქ ბლომად იყვნენ ისეთი „სიტყვისა“ და „კალმის“ კაცები, რომელნიც სიტყვით ქადაგობდნენ ჩინებულ ჰაზრებსა და პრინციპებს, და საქმით კი თავის გარშემო მყოფ, დავარდნილ, გარყვნილ საზოგადოებასთან არაფერში არ განსხვავდებოდნენ; როგორც მიშინ იქ უუწარჩინებულესს მწერლებს „დიდი მზღვარი“ ედვათ სიტყვასა და საქმეს შუა; როგორც მაშინ იქ საუცხოო პრინციპები და სამაგალითო საქმეები ერთად, ერთს დროს, ერთს კაცში თავსდებოდნენ, — ისე ახლაც ჩვენში სიტყვასა და საქმეს შუა „დიდი მზღვარი“ გვიზის და ამათს ერთმანეთის დათანხმებას, ხელი-ხელში გაყრილ მსველელობას კი ვერა ეხედავთ.

განსხვავება ჩვენსა და იმათშია ეს არის მხოლოთ, რომ იმისთანა კაცების სიტყვა ისეთი ძლიერი, ძვალრბილში გამჯდომი და საზოგადოების ტვინის გადამბრუნებელი სიტყვა იყო მაშინ, რომ იმან შემდეგში ნამყოფი, საქმე, დიდებული მოვლინება მოიტანა. ამისთანა „სიტყვის კაცებს“ ბევრი შეცოდება მიეტოებათ...

ჩვენში კი ამისთანა მთქმელები, ამისთანა „სიტყვის კაცები“ სად არიან? იქაური მწერლების წვრილმალი შეცოდებანი და ზნეობაში სიკოჭლე შთამომავლობამ დაივიწყა, დაივიწყა იმიტომ, რომ იმათ თავის კალმით ისეთი ძაგლი ააგეს, რომ ეს შეცოდებანი იმასთან არაფრად არა სჩანს.

ჩვენ ხო ამათთან ფეხს ვერ გავწვდით, და კიდეც რომ გავწვადოთ, რა გამოვა? გამოვა ის, რომ, ჩვენი შთამომავლობის გადასაცემად, ჩვენ შეგვრჩება ხელში მხოლოდ ცარიელი, გაცვეთილი, პატარა, ლამაზი სიტყვები და ფრაზები და საძაგელი, ულირსო, უპატიოსნო საქმეები და დიდი შეცოდებანი...

ს. მ.

დღიური

ქართული ქვევითი დრუჟინა, რომელიც კავკაზიის სხვა ჯარებში თავის მარჯვე ბიჭებითა და მარჯვე მსროლელებით არის გამოჩენილი და რომელიც მუდამ უვარელში დგას, ამ ჟამად მხოლოთ ოთხასი კაცი'გან შესდგება; მაგრამ შემდეგის წლიდამ კი, როგორც შევიტყეთ, ამათი რიცხვი ათასამდინ უნდა აიყვანონ და ამის გამო დრუჟინაში შესვლის მსურველთა ეძებენო.

* *
*

„თფილისის მოამბეში“ დაბეჭდილია ალექსანდროპოლის ბანაკიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ამ თვის 18-ს ყველა იქ შეგროვილი ჯარი დაუხედავს კორპუსის უფროსს ღენერალ-ადიუტანტს ლორის-მელიქოვს და შემდგომ ჯარის უფროსი აფიცრები მოუწვევია და გამოუცხადებია იმათთვის, რომ უმაღლესად გებოძ თ თქვენ ნახევარი წლის ჯამაგირი საჩუქრათო. ამასთანავე ღენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვს გამოუთქვამს თავის სიამოვნება, რომ ის ამისთანა მხნე და მარჯვე ჯარის უფროსად არის დანიშნული. „თუ ღმერთმა ინება და ჩვენ სახელმწფოს სამზღვარს გადავედით, იმედი მაქვს, რომ მტრის მიწაზედ ჩვენ გამოვიჩენთ თავს,“ ასე გაათავა ღენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვმა.

* *
*

ჩვენ შევიტყეთ, რომ აქაური სომხური გაზეთი „მშაკ“ მამავალი წლიდამ კვირაში ორჯელ უნდა გამოვიდესო და ფასიც წელიწადში შვიდი მანეთი ექნებაო. (ახლა კვირის გაზეთია და წელიწადში 5 მანეთად ღირს).

ერთი ახალი ამბავიც აქაური სომხური პერიოდული ლიტერატურის შესახებ: ამბობენ, რომ უფ. აბგარ იონესიანის ჟურნალი „ფორც“, რომელიც ახლა სამ თვეში ერთხელ გამოდის, მომავალი წლიდამ კი აზრიაქვს, ყოველ თვეში გამოცეს. პეტერბურღის სომხები რაღაც ჟურნალის გამოცემას აპირობენო და უფ. იონესიანი ცდილობსო, რომ ეს ორი ჟურნალი შეერთდნენ, თფილისში გამოსცენ და ამას გარდა, ამბობენ, ეს ორი შეერთებული რედაქცია ახალი გაზეთის გამოცემასაც აპირებენ თფილისშიო.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორი, 27 ოქტომ. დადგა შემოდგომა და შეიქმნა არეულობა და ფიცხელი მოძრაობა ყოველი წოდების ხალხისა: გლეხ-კაცნი, თუ კი რამ გადაარჩინეს თავის ყოველ წლიურ აუცილებელ მოვალეობს, მიეზიდებიან ქალაქებისკენ გასაყიდათ ზოგი ხილს, ზოგი პურს, ქერს, სიმინდ და ყოველ გვარ მიწის მოსავალს; მიერეკებიან შინაურ პირუტყვსა და ფრინველებს, მიეზიდებიან ბაზარს, ერთს, ყველს, შემას და ვინ იცის; რაც კი რამ აბადია და ხელიდგან გამოუვა, სულ მიეშურება ფულათ აქციოს.

გლეხ-კაცს ახლა სხვა დროზედ უფრო სჭირდება ფული; თუმცა ცოტაც არი მოისვენა სიცხე პაპარაქებაში ტანჯვასა, მაგრამ იმას ეხლაც ბევრი საქმე აქვს; მამულების ყურისგდების გარდა, იმან უნდა დასაქორწილებელი დააქორწილოს, გასათხოვარი გაათხოვოს, მკვდარს წირვა გადუხადოს და სხვ. და უფრო უსაჭიროესი—იმან უნდა ეხლა ფოჩტის ფულიც მოიშოროს.

ჩვენი ბორის ვაჭარნიც, რასაკვირველია, ამათ დასაკმაყოფილებლად მოეზიდებიან ზოგი მაკარიიდგან, ზოგი თფილისიდგან და ხსნიან ახალ-ახალ საქონელს და ამშვენებენ ჩვენ ბორის ვაჭრობას.

მართლადაც, რო უცქიროს კაცმა, კარგს სურათს წარმოგვიდგენს ჩვენ, ბორის ბაზრობა შემოდგომაში; სხვა დროს კი ღმერთმა თქვენ მტერს მისცეს: ბაზრის თავიდგან რომ ზარბაზანი გამოისროლოთ, ბოლოში ისე ჩავა, რომ კაცს არ მოხვდეს; და ახლა კი ისე გაჭედილია დახურული ბაზარი და სხვა ალაგებიცა თუ საქონლით და თუ ხალხით, რომ ფეხს ვერ აუქცევთ.

აბა, რასაკვირველია, ოჯახის პატრონებიც, მდიდარია თუ გლახაკი, ყველა ემზადებიან ზამთრის მისაგებად და ყიდულობენ ყოველ გვარ საჭირო ეულის საჭიროებას. ახლა უნდა წარმოიდგინოთ—თუ ამ გვარ მოძრაობიდგან რამოდენი შესავალი აქვს ჩვენს ბორის ვაგზალსაც, სადაც უკანასკნელი დღე არ გავა, რომ ას თუ მოცბითი არ შეუვიდესთ ზოგი საქონ-

---

რეული თხის შემწვარი ნაჭერი, პური, რომელიც ზღვის ვარსკვლავსა გვანდა, (ეს ქაპერის განსაკუთრებულებაა), ნუში, თხილი და ქლიავი. პრიბორები ბლომად იყო და აქაიქაც ჩ'ი' სალფეტკებიც.

— ვინ არის თქვენთან სადილათ? ვკითხე მე ბასსოს.

— თქვენი და თქვენი თანამოგზურების მეტი არავინ; დანარჩენი ჩვენ შინაურები ვართ.

ამ ლაპარაკის დროს, იქ შემოვიდა მომცრო ტანის კაცი. მე რომ მის მსხვილი ძარღვებიანი და დაბებრებული ხელები ვნახე, სწორედ უბრალო მუშათ მივიღე.

— მდუარდო ბარბერინი! აი გამაცნო ბასსომ ეს კაცი. ეს არის ჩვენი მამაცი მეომარი, მეგობარი და მუშა, მეხანიკოსი და პოეტი; ერთი სიტყვით, ეს ჩვენი ცხოვრების საშუალებაა. აგერ თხუთმეტი წელიწადია, რაც ეს ჩვენთან განუშორებლივ ცხოვრებს; როცა ომი არ არის, სხვა მუშებთან მკის, ლეწავს და სთესს ხოლმე. ჩვენი წისქვილი, წყლის ამოსაღები და ზეთის გასაკეთებელი მაშინა,—ესენი სულ ამის გაკეთებულია; ზეთის გამოსახდელი მაშინა მხოლოდ ერთ ცხვარს მოჰყავს მოძრაობაში, ამ ცხვარს თითონ ბარბერინი უგდებს ყურსა, და ხან ცხვარს თითონ შეენაცვლება ხოლმე. ბარდა ამისა ფუტკარიც ამის გამგეობის ქვეშ არის, რომელიც ღენერალს ისე ძრიელ უყვარს. მერე თევზის დაჭერაც კარგათ იცი'; ძთელი ჩვენი ნავები, ის ნავიც კი, რომლითაც ღენერალი 1867 წ. ქაპერიდამ გაიქცა, სულ ამის გაკეთებულია.

აბ გვარ ატესტატის შემდეგ, ბარბერინს სრულიად შერცხვა და უთხრა ბასსოს:

— მერე თქვენ როგორღა გააცანით თქვენი თავი?

— ჩემზე სათქმელი არა არის-რა, უპასუხა ბასსომ: მე ღენერალთან სეკრეტრათა ვარ, და დანარჩენ დროს მე სულ ნადირობში ვატარებ; რა თხაც თქვენ ახლა უნდა ბიირთოთ, ის გუშინ ჩემი ნანადირევია; ამასა ესწუხვარ, რომ ღენერალი ნადირობის ნებას ყოველთვის არ მაძლევს, და თოფით დამინახამს თუ არა და მაშინვე მეტყვის: „ბასსო, გთხოვთ, თუ საჭიროება არ მოითხოვს, არ დახოცოთ არც ნადირი და არც რომელიმე ფრინველი.“

რამდენიმე წამის შემდეგ, იქ შემოვიდნენ ქოკა პიელლერი, სტეფანელი, ანტონიო და რამდენიმე სხვა კაცი, რომლებსაც ყველას მუშების შეხედულობა ჰქონდათ, და მართლა ისეც აღმოჩდნენ. მერე ჯოხებზე დაბჯენილი ბარიბალდიც შემოვიდა.

— გთხოვთ თქვენ აქ დაბძანდეთ, მითხრა ბარიბალდიმ და თავის გვერდით მაჩვენა ადგილი. მერე შეხედა კლიონკას, მიუბრუნდა ბასსოს და უთხრა: რა კარგათა ჰქმნეს, რომ ჩვენ ეს კლიონკა გამოგვიგზავნეს, თორემ დღესაც ხომ სადილის ჭამა გაზეთებზე მოგვიხდებოდა!

ერთ გარიბალდიელთაგანმა, რომელიც სამზარეულოში მწვანილეულობას ამზადებდა, წვენი მოიტანა, მეორეებმა დაფხეკილი ყველი და ხილი. ეს ენი ყველაფერი სტოლზე დააწყეს და თითონაც ჩვენთან დასხდნენ. ჯერ თითქმის წვენის დასხმაც არ გაეთავებინათ, როგორც ღა ფანჯრიდამ წიწილებმა ერთი მეორეზე დაიწყეს შემოფრენა. იქამდინ მიაღწია იმათმა გაბედულებამ, რომ ზოგმა მათ ლ ბეჭიდამ მუხუდოს დაუწყეს კენკა, და ზოგი კი სტოლზე დასეირნობდა და ნამცეცებსა ჰკრეფავდა. ორი ძალლიც ჯერ პატარა ხანს ფანჯარასთან იდგნენ და მერე კი იმათაც, წიწილების მიხედვით, ჩვენთან მოირბინეს.

— თქვენ, უეჭველია, ამისთანა მოუბრები საოცრათ გეჩვენებათ? მითხრა ბარიბალდიმ. მაგრამ რა უყოთ! ესენი ასრე მე თითონ შევეჩვიე. რადგან მე სრულიად მარტო ვცხოვრობ, ამის გამო ამათი მეგობრობა ძვირად ღირს.

ბაათავა თუ არა ეს სიტყვები, ამ დროს შუა ფანჯარასთან ორი ცხენი გამოჩნდა, რომლებსაც ერთს „მენტანა“ და მეორეს „მარსალა“ ერქვა.

— ესენიღა გვაკლდნენ, სთქვა სიცილით ბარიბალდიმ; აიღო და თითო ნაჭერი პური მიუტანა იმათ.

— ბევრი სიკეთე უქმნია ჩემთვის ჩემ მარსელას, და ამისათვის ის სიკეთეები ეხლა უნდა გადუხადო. ეხლა ის უბორკილოთ თავისუფლათ დადის; დილით ადრე მიდის მინდორში, და მხოლოთ საღილობისას დაბრუნდება და მერე ისევ მინდორში წავა, მზის ჩასვლის შემდეგ დაბრუნდება ხოლმე თავის საჯინიბოში. მე თქვენ მარსელლას შეკმაზვას გირჩევთ და ქაპერის დათვარიელებას. ქვევითი სიარულით კი ძრიელ დაიღალებით.... იქედი მაქვს, რომ ჩემთან კარგა ხანი დარჩებით, მკითხა იმან ცოტა ხანს შემდეგ.

— მე მხოლოდ ერთი კვირის მეტი ვერ დავრჩები, დაღონებული უპასუხე მე, ამისათვისა, რომ აქედან რუსეთში უნდა დავბრუნდე.

— თქვენი პირაგოვი ცოცხალია?

— დიახ, ცოცხალი გახლავთ.

— მე იმისი დიდი მადლობელი ვარ, და მახსოვს როგორც მე იმან ერთხელ შეწუხებულს მითხრა: „ეცადეთ, რომ თქვენ წყლულზედ ბევრი არ იფიქროთ.“ მე იმ წყლულზე მაშინ არ ვიფიქრებდი, თუ ეს წყლული სხვის და არა იტალიელის ხელით იქნებოდა მოცემული.

სხვათა შორის მე ვკითხე ბარიბალდის, თუ იმისთანა ქარებით შეწუხებულ ადამიანმა როგორ შეიძლო უკანასკნელ საფრანგეთის ომში დასწრება?

ლიდგან, ზოგი პასაჟირებიდგან და სხვა.

ერთის სიტყვით, რომ იტყვიან „აღებაა“ სწორეთ ახლა.

ბლეხი ჰყიდის თავის მონაგარს და უხარიან ფულებ ჩაეიჩხრიალებო, ზოგ ამას მიეცემ, ზოგ იმას და დავქორწილდები ხო მაინცაო.

ვაჭარს უხარიან, კარგს და ახალ საქონელთან ძველს და დამპალსაც თან გავადევნებო და ერთ-ორ ფასად გამისაღდებაო; გაცემული ფულიც ჩამბარდებაო და სხვ.

მღვდელს უხარის, წირვებსა და ქორწილებში მუცელს გავისუქებო და თითო ჯვრის-წერაში 15 მანეთ ნაკლებ ხომ არ დავჯერდებიო და ჯიბეებს გავივსებო!

სუდია-მამასახლისებსაც ის უხარის, რომ ე უჩვენოთაც ხო არა მოხდებარა ჩვენს პრიხოდშიო და რაც წირვებში და ქორწილებში ქეიფებს გავწვეთო, რაც არა და პოჩტის ფულის მოგროებაში ხო ბლომათ ავკრამთო და რა დაემართება კომლზე ორ-ორი აბაზი მაინც არი არ დაგვრჩესო!

Ილ. Ალხაზაშვალი

უცხო ქვეყნები

მოქრიგების ამბავი. პარიჟიდამ იწერებიან, რომ ევროპის დიპლომატები ყოველ ღონის-ძიებას ხმაროებენო, რომ რუსეთსა და ოსმალეთს ერთმანეთში შეტაკების მიზეზი მოსუსპონო და ისე გაათავონ, დროებით მაინც, ეს „აღმოსავლეთის კითხვა“, რომ ორივე მოწინააღმდეგე მხარე—ოსმალეთი და სლავიანები—კმაყოფილნი დარჩენონ.

იმასაც ამბობენ, რომ უევროპიულ კონფერენციოთ საქმე არ გათავდებაო; სტამბოლში უნდა შეიკრიბნენ ევროპის უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენელნიო და ეს საგანი იქ უნდა გადაწყდესო.

ერთს ფრანცუზულს გაზეთში იწერებიან, რომ ოსმალოს მთავრობას განზრახვა აქვსო პეტერბურღში გაგზავნოს ერთი თავის დანდობილი კაცი, რომელიც რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრს და კანცლერს თ. ბარჩაკოვს მოელაპარაკება და ესენი ერთად გადაწყვეტენ—თუ რა პიროებით უნდა გათავდეს ეს შეტაკება ოსმალეთსა და სლავიანებს შუა და როგორ უნდა მორიგდნენ ისინი.

საგაასო

ორ ასოს ძველ დამალულს—უ. დ. რ—ს

—

„უკუდო ხარი თავისთვის არ იყო,
სხვას ბუზებს უნიავებდაო!“

I

მე დავიჭირე ზედამხედველობის ადგილი თელავის სასულიერო სასწავლებელში შარშან ოქტომბერში, და აი ეხლა მეორე ოქტომბერში, 16 რიცხვს, ძლივს ველირსე ორიოდე სიტყვის წაკითხვას ჩვენს სასწავლებელზედ „დროების“ მე-107 ნომერში. უთუოდ კორრესპონდენტს განზრახ ამოურჩევია 1 ოქტომბერი წლის ანგარიშის შესადგენად. იმედია, რომ ჩვენი დ. რ., რომელსაც არა ჰ ურს თავის ნამდვილი პირის სახე დაგვანახოს, დაკვირვებით განიხილავდა თავის კორრესპონდენციის საგანს და გადასცემდა თავის მკითხველებს, რასაც ეს დაინახავდა ან მოსაწონს და ან დასაწუნს თელავის სასულიერო სასწავლებელში. შინაარსი კორრესპონდენციისა ცხადად დაგვანახვებს ამას.

II

უ. დ. რ. იწყობს თავის ეპისტოლეს თელავის სასულიერო სასწავლებელზედ. ეს დიდად სწუხს, რომ აღნიშნულს სასწავლებელს ყოველთვის „ბედის-კვერი“ უკუტდება ხოლმე. ეგეც დიდი პატივი და შემწეობაა შენგან, უ. დ. რ., რომ ჩვენი სასწავლებლის „დავარდნა“ გულს გიშფოთებს, ძილს გიმწარებს, საზოგადო ასპარეზზედ გიწვევს იმ საქებური განზრახვით, რომ მცირედი რამე შემწეობა მაინც მისცე იმას, თვალი აუხილო მათ, ვის ხელშიაც არის მისი აწმყო და მომავალი, თუ ჭეშმარიტების თქმით დანაყოფიერის საქმით არა, ფნაყოფო ტირილით და გოდებით მაინც.

მაგრამ, საუბედუროდ, გლოვის ცრემლებს დაუფარავთ, უ. დ. რ., თქვენის მოკლე მხედველობისაგან ის, თუ რა წარმატებაში შევიდა, ანუ უკვეთ, შედის ეხლა თელავის სასულიერო სასწ ვლებელი; ცრემლებს გარდა, ყველასთვის სამწუხაროდ, თქვენი გონებითს მხედველობასაც უსინათლობა სწვევია. მაგრამ არ მოისმენთ კორრესპონდენტის ფაქტებს თავის აზრის დასამტკიცებლად?

III

დედა-აზრი უ. დ. რ. კორრესპონციისა ის არის, რომ ვითომც თელავის სასულიერო სასწავლებელი „თან-და-თან უკან იწევს.“ ამ აზრის დასამტკიცებლად კორრესპონდენტს მოჰყავს შემდეგი ფაქტები: „1874 წ. აქედამ, თელ. სას. სასწავლებლიდამ მიიღეს თფილისის სასულიერო სემინარიაში 6 (4) შეგირდი, 1875—სამიდა წლევანდელს 1876 წელში არც ერთი.“ მაშასადამე, აგრძელებს ეს, ეხლანდელი, ე. ი. 1 ოქტომბრის 1876., ზედამხედველი და მასწავლებლები არიან ამაში დამნაშავენი. ამისთანა მ ა შ ა ს ა დ ა მ ე ს თ ა ნ დათანხმდება მხოლოდ უ. დ. რ—ს ვიწრო გონება. შენგან მოყვანილის ცნობებიდგან, შეუცველადაც რომ მივიღოთ ისინი, მხოლოდ ისა სჩანს, რომ ხსენებულს სასწავლებელს უკან უწევნია; ის კი არსაიდგანა ჩანს, თუ ამაში დამნაშავენი არიან ეხლანდელი ზედამხედველი და მასწავლებლები. შენ ხომ ყველას იცნობ აქაურს მასწავლებლებს და იცი, თუ რა დროდგან არის თვითოეული მათგანი ეხლანდელს ადგილზედ; შენი პედაგოგიური მოსაზრება ნებას გაძლევს, რომ ესენი გამოიყვანო დამნაშავედ სასწავლებლის უკან დაწევაში და წლევანდელის მოსწავლეების მიულებლობაში თფილისის სასულიერო სემინარიაში.

მკითხველებისათვის საჭიროა ნამდვილად შეიტყოს ყველა მასწავლებლის აქ სამსახურის დრო. ცხრა მასწავლებლიდგან სამი ემსახურება 1 თვე, ორი 1 წელი, ორი $1\frac{1}{2}$ წელი, ერთი $2\frac{1}{2}$ წ. და ერთი 20 წელი. ბკითხავ, უ. დ. რ., ამათგან რომლებს დააბრალებ სასწავლებლის უკან დაწევას? იმედი მაქვს მომიგებ, რომ ერთი თვის გამწესებულებს, ამისთვის რომ იმათ უფრო, როგორც ახლებს, ხალისიანად უნდა ემუშავნათ სასწავლებლის აღდგენაზედ. მეც თანხმა გახლავარ, სწორედ ისინი უნდა იყვნენ დამნაშავენი. მოვიყვან კიდევ მაგალითს შენისვე სახლობიდგან, თუ რომ ცოლ-შვილით ღმერთმა გაგაბედნიერა:

წარმოიდგინე, რომ შენა გყავს ერთი ვაჟი, რომელიც გყვანდა შინ რვა წლამდის. ამ დროს განმავლობაში შენ არა ზრუნავდი არც იმის ზნეობის და არც გონებითს გახსნაზედ; რვა წლიდგან დაუწყე მას სწავლა; რადგან შენ გინდოდა, რომ შენ შვილს კარგად ესწავლა, ხშირად

იმან ასე ამისხნა, რომ იქ, სადაც შეიძლებოდა, ეკიპაჟით დადიოდა და სადაც არა, ტახტრევანდით დადიოდა ხოლმე. საფრანგეთის ომის მოგონებაზე, ბარიბალდი თითქო გაცოცხლდა, და მაშინ დაიწყო იმაზე ლაპარაკი, თუ როგორი შთაბეჭდილება გამოიტანა იმან ომიდან.

— ძრიელ სამწუხარო შთაბეჭდილება გამოვიტანე მე იქიდან. ის ფრანცუზები, რომელთაც ამ უკანასკნელ ომში მონაწილეობა მიიღეს, მე ისინი უწინდელ ფრანცუზებათ ველარ ვიცანი: ისე გონება-დაფანტულნი და შეშინებულნი იყვნენ, რომ ორი თუ სამი პრუსიელი იმათ მთელ ლეგიონად მიჩნდათ ხოლმე. ის წამი ჩემ დღეში არ დამავიწყდება, როდესაც ბიჟონთან, ხშირი შეტაკების შემდეგ, მე, სრულიად გატანჯული, მოშიყვანეს სახლში; დავწექი და მაშინვე დამეძინა. ვნახოთ, უეცრათ შემორბის რამდენიმე ღენერალი და მეუბნებიან: „დავიღუპეთ, ყველა მხარეს პრუსიელები გვახვევიან; აქ მოსული პრუსიელები თხოულობენ, რომ ეხლავე ქალაქი იმათ დაუთმოთ.“ მე ქვემაგებიდამ წამოვდექი და უთხარი იმათ: „ქალაქის დათმობამდინ, უწინ თქვენი ღონე კარგათ უნდა გაზომოთ: როგორელიც მე ეხლა ადგილი მიჭირავს, ის ადგილი განა უბრძოლოთ უნდა მივცე?.. არა, მე ეს არ შემიძლიან!“ ღენერალო, თქვენ უბრალოთ ძალას ნუ ჰკარგავთ, მარწმუნებდნენ მე ისინი. „მაშ, კაცს ძალა რისთვის აქვს მიცემული, უპასუხე მე, თუ არ იმისათვის, რომ ბატიოსან საქმეს შესწიროს თავის ღონე?“

— მე ამ დროს დღალვა სრულებით დამავ წყდა, და უთხარი ეკიპაჟი მოეგზავნინათ. ძრიელ ციცი და ბნელი ღამე იყო. მე საფრანგეთში, როგორც თქვენც გაგონილი გექნებათ, ძრიელ ცოტა ჯარი მყვანდა, და ამისა გამო მტერს ყოველთვის ღამე დავეცემოდი ხოლმე. სიბნელე ჯარის ნაკლებობასა ჰფარავს. მე ისე ვაყენებდი ჩემ ჯარებს, რომ მტერს ისინი ძრიელ ბევრად ეჩვენებოდა ხოლმე. ბიჟონის დასაცველად რომ მივდიოდი, თითქმის დარწმუნებული ვიყავ, რომ ჩვენ წინ იმდენი პრუსიელები არ იყვნენ, რამდენსაც მეუბნებოდნენ; მართლაც, რომ ამაში არ შევცდი.... და აი ამ შიშისა გამო, რამდენი ქალაქები და სოფლები ემორჩილებოდნენ ხოლმე! ერთი მხრით ფრანცუზებიც არ არიან დამნაშავენი. მე მიყვარს საფრანგეთის ხალხი და ისინი მამაც ხალხად მიმაჩნია, მაგრამ ეს ვერ გამიგია, თუ იმათ ამ უკასკნელ ომში რა დაემართათ. იმათი უმთავრესი მხედართ-მთავრები, ან სამარცხვინოთ, როგორც ბაზენი, ისე ემორჩილებოდნენ, და ან სულ არაფერი გაეგებოდათ რა ხოლმე. მე ასე მგონია რომ თავიანთ სალდათებისათვის ისეთი თავისუფლება მიეცათ, რომ როგორც უნდოდათ თითონ ისე ემოქმედნათ, მაშინ ისინი იმ გვარ შეცდომაებს აღარ იზამდნენ. რაც პარიჟის კედლებთან უბედურება და გმირული სიკვდილი მოხდა, სადაც ქალები და ბავშვებიც კი იხოცებოდნენ, აბა, ერთი მითხარით, ყველა ამ უბედურებას რა შედეგი ჰქონდა? მხოლოდ ისა რომ მმართველობის უფროსად ტიერი დააყენეს! აბა, მარტო ჩვენ საფრანგეთს რას უშველიდით? თითონ ბამბეტაც კი არ გვეხმარებოდა. სალდათები არც მე და არც ჩემ ვაჟებს იმიტომ არსად არ მოგვდევდნენ, რომ ჩვენ არაოდეს უბრძოლოთ არ ვემორჩილებოდით ხოლმე მტერსა. ისიც კი უნდა ვთქვათ, რომ ვინც ჩვენებურ ლაშქრობის წესებს ჩვეული არ არის, ყველა არ წამოვა ჩვენთან საომრათ; ჩვენ არა გვყავს და არც გვეყოლება გაწყობილი ჯარი, ჩვენ ყოველთვის გაფანტულნი ვართ ხოლმე. მაშასადამე ჩვენთვის მხოლოდ საჭიროა მამაცი და იმისთანა ხალხი, ვისაც ომში სიკვდილი არ ეშინიან და ამ სიკვდილით არა წუხდებარა. ბარიბალდიელს არა აქვს არც სახლ-კარიანობის და არც სამსახურის ნიჭი. ნამდვილს გარიბალდიელს სამსახურში ვერა ნახამთ; ის შიმშილს მოითმენს და თავის ბაირაღისგარდა არავის არ ემსახურება.

ბარიბალდი ძრიელ მხიარულათ იყო და ბევრსაც ლაპარაკობდა.

— თქვენ იცით, ახლად დაიწყო იმან, რომ მე რუსეთში ვიყავი—სახელდობრ კი ოდესაში? ეს თქვენ შეუძლებელად გეჩვენებად; მას შემდეგ ძრიელ დიდი ხანია; მე ვიყავ იქ, როცა მამა ჩემი გემის უბრალო მოსამსახურედ იყო, და ბიძა ჩემი და მამაჩემი ოდესაში ერთათ მიდიოდნენ.

ამ ლაპარაკში ბარიბალდიმ შენიშნა, რომ, იმის ყურის გდებაში, მე სადილი სრულიად დამავიწყდა.

— ბაციდა თქვენი წვენი, მომაგონა ბარიბალდიმ. რასაკვირველია, ამას თქვენცა ხედამთ, რომ ჩვენი სადილი ძრიელ მდიდრული, არ არის და ამისა გამო ცხელი მაინც უნდა მიირთოთ. მაგრამ რასაც თქვენ ეხლა სტოლზე ხედამთ, ესენი სულ კაპერაზე მოდის, მხოლოდ ჩვენ მარტო ეყიდულობთ შაქარს, ჩაის, ყავას და სიგარებს. თქვენ რომ ეხლა მამაკაცი ყოფილიყავით, კარგ სიგარებს მოგართმევდით; უნდა კი ვსთქვა, რომ ეს კარგი სიგარები კონტრაბანდაა.

ბარიბალდიმ სტოლი ჩამოათვალიერეა და შენიშნა, რომ ორი მუშის ადგილი ცარიელი იყო:

— დღეს ისინი რატომ არ არიან?

— ჯერ ისინი მუშაობიდამ არ დაბრუნებულანო, უპასუხა ბასსომ. ორი მუშაც იკითხა ბარიბალდიმ და ძრიელ შეწუხდა, რომ იმათ საჭმელი კიდეც გაუცივდათ.

Თარგ. Ე. ლვინიაშვილისა

(დასასრული შემდეგ №-ში)

უცვლიდი მასწავლებლებს, შენის ფიქრით, ერთი ერთმანეთზედ უკეთესებს. შესრულდა თვრამეტი წლისა და მაშინღა შეიტყე, რომ შენ მოტყუებული იყავ, შენმა შვილმა არაფერი იცოდა, რადგან შენგან ამორჩეულს მასწავლებლებს არაფერი ესწავლებინათ. ამ შემთხვევამ შენ გამოგაღვიძა ღრმა ძილისაგან და ერთგულად შეუდექ ღირსეული მასწავლებლის ძებნას. შენ, რასაკვირველია, ხვირიან კაცს ვერ იშოვნიდი, მაგრამ შემთხვევამ მოიტანა, რომ ერთგული კაცი ჩაგიარდა ხელში, რომელმაც ერთგულად დაიწყო შენი შვილისთვის შრომა. ბავიდა ამის შემდეგ ერთი წელი და შენც მოსთხოვე ანგარიში, მაგრამ შენ მასწავლებლის ერთის წლის ნაყოფით არ დაკმაყოფილდი, რადგან შენ შვილს ამ დროს განმავლობაში ვერ შეუვსო ის, რაც იმას დააკლდა სხვის ხელში რვა წლიდგან მოყოლებული თვრამეტ წლამდის. ბკითხავთ, ვინ უნდა იყოს ამ შემთხვევაში დამნაშავე; თქვენ, თუ აღნიშნული მასწავლებელი? ვინ იტყვის, რომ ან შენ და ან წინანდელი შენი შვილის მასწავლებლები იყვნენ ამ საქმეში დამნაშავენი?

რა ნაირათაც არის დამნაშავე შენის შვილების აღზრდაში შენ-მიერ უკანასკნელად აღმორჩეული მასწავლებელი, იმგვარათვე არიან დამნაშავენი თელავის სასულიერო სასწავლებლის უკან დაწევაში ეხლანდელი ზედამხედველი და მასწავლებლები თუ არა გნებავს, უ. დ. რ., რომ მარტო ჭორებით იზრდებოდეს შენი ცნობის-მოყვარეობა, მე გთხოვდი, რომ ნამდვილი ცნობები სასწავლებლის მდგომარეობაზედ პირ-და-პირის წყაროებიდგან შეგეკრიბნა, როგორც თელავის მცხოვრებს და თუ რომლისამე მიზეზით გაზეთით გსურს შეიტყო, მოისმინეთ და იგულისხმეთ.

IV

წელს ივნისში დაიჭირეს წლის ეგზამენი ცამეტმა მოწაფემ მეოთხე კლასისამ. ზამოცდამდინაც სჩანდა და გამოცდამაც დაამტკიცა, რომ ესენი ვერ იყვნენ მომზადებულნი კლასსიკურ ენებში—ბერძნულში და ლათინურში, როგორც ამას მოითხოვდა ახალი წესდება სასწავლებლისა; ამათ არა ჰქონდათ გაელილი სრულიად, რაც იყო პროგრამმით დადებული აღნიშნულის ენებიდგან. როდესაც მოსწავლენი აძლევდნენ ეგზამენს ლათინურისა და ბერძნულის ენებიდგან, უცხადებდი, რომ იმათ არა აქვთ გაელილი, რაც არის დადებული პროგრამმით, და მაშასადამე მიღებული მათგან პასუხის ნიშანი ექმნებათ იმათ იმ ნაწილიდგან საგნისა, რომელიც მათ მოუსწერიათ, და არა სრული საგნიდგან, რომელიც პროგრამმით მათ უნდა გაეგლოთ (თუ რატომ ვერ მოასწრეს—ქვევით) წლის განმავლობაში აღნიშნულს კლასში. თუ, ვინიცობაა, დაუმატე ამას, თქვენ ისურვებთ სემინარიაში შესვლას, მოიმედე უნდა იყვნეთ, რომ თქვენ მოგთხოვენ აღნიშნულის საგნებიდგან სრულს ცოდნას, და თუ გამოცდის დროს კითხვები შეგხვდათ გაუვლელის ნაწილიდგან, ვერ გაიმართლებთ თავს იმ პასუხით, რომ თქვენ ეს არ გისწავლიათ, ანუ ვერ მოასწარით; თქვენის გამომცდელებისთვის ამ გვარ პასუხს არაევთარი დამაკმაყოფილებელი ძალა არ ექმნება; ეხლა თქვენზედ არის დამოკიდებული გარდაწყვეტა თქვენის მომავალის ბედისა. თუ ისურვებს ენმე თქვენგანი მოსამზადებელ კურსზედ დარჩომას, ამაზედ გამგეობას იქნება საკუთარი მსჯელობა, და უკეთუ დაინახავს შესაძლოდ და თქვენთვის სასარგებლოდ, იმედია, უარი არ გითხრასთ ამაზედ.

შემდეგ საკმაო მოფიქრებისა, ყველა მეოთხე კლასის მოსწავლეებმა გამოაცხადეს სურვილი იმავე კლასში დარჩომაზედ. სასწავლებლის გამგეობამ უსარგებლოდ დაინახა რომელთამე მოსწავლეთ დარჩომა გასამეორებელ კურსზედ, გამოუცხადა ამასთანვე, თუ რა ზარალში ‘მეიძლება ისინი ამით შეიდნენ, უკეთუ ისინი ნამდვილად ვერ აღასრულებენ სასწავლებლის წესდების მოთხოვნილებას და ოთხს მათგანს, რომელთაც კანონით ნება არა ჰქონდათ დარჩომისა, უარი უთხრა გამოცხადებულს მათგან სურვილზედ შესახებ მათის დარჩომისა გასამეორებელს კურსზედ. ესენი, რასაკვირველია, იყვნენ უკანასკნელ მოსწავლეთაგანი სასწავლებლისა, ერთს გარდა, რომელიც, როგორც სხვა დარჩომილებიც, მაინც კლასიკურ ენებში ვერ იყო მომზადებული.

აი ესენი გახლდნენ წელს, უ. დ. რ., წარმომადგენელად თელავის სასულიერო სასწავლებლისა და მისის პატივის და ღირსების დასაცველად მეომარნი. ბკითხავთ ეხლა, არ შეიძლებოდა, რომ ვერც ერთს ამათგანს ვერ მიეცა შესასველელი სემინარიაში ეგზამენი? ამათის მიუღებლობით რა მტკიცდება? შენის აზრით, ზედამხედველის და მასწავლებლების უვარგისობა. ამის შემდეგ, თუ მოსაზრებამ ნება მოგცა, უნდა გკითხოთ, რატომ საკმაოდ ვერ იყვნენ მომზადებულნი კლასიკურ ენებში? მოისმინეთ პასუხი.

ზედამხედველი თელ. სასულ. სასწავლ.
ნ. მთავარელოვი

თელავი, 21 ოქტ.

(ბაგრძელება)

განცხადებანი

მიხაილის აზნაურობის საადგილ-მამულო განკმა, ქუთაისში, დაიწყო მოქმედობა. ფულებს ასესხებს მიწა-მამულის გირაოზე ქუთაისის გუბერნიაში და სოხუმის სამხედრო განყოფილებაში, აგრეთვე ქუთაისის ქალაქის მამულებში.

სოფლის მიწა-მამულებში, რათაც დაფასდება, მისს ნახევარს აძლევს ქალაქის მამულებში—დაფასების სამეხუთედს. დიდ-ხნოვან სესხად აძლევს გირაოს ფურცლებს და მოკლე-ხნით ნაღდს ფულს.

ნაღდს ფულს ასესხებს ერთის წლით გან სამის წლის ვადით. ნაღდ ფულზე აიღებს სარგებლად: ბანკის დამაფუძნებელთაგან წელიწადში მანეთზე შვიდს კაპეიკს (7%) და გარეშე პირთაგან—მანეთზე ცხრა კაპეიკს.

სარგებელი ნახევარ-წლობით წინ უნდა შეიტანონ.

ფულების ასაღებად სხვა დოკუმენტებთ შორის მიუცილებელი საჭიროა გირაოს მოწმობა (залоговое свидѣтельство) ქუთაისის უფროსის ნოტარიუსის, რომელ მოწმობაში მოხსენებული უნდა იყოს, რომ გირაო ეკუთვნის დამგირავებელს და ამ გირაოზე რა ვალები, ან საჩივრები და აღკრძალვები ძევს.

(1—1)

ქუთაისში, ღუბერნიის სტამბაში ისყიდება ბერ. ქალანდარაშვილისაგან შედგენილი წიგნი:—**რუსული ენის დასაწყისი პრაქტიკული კურსი ქართველთათვის.** ბამოცემა მეხუთე, ხელ-ახლად გასწორებული და შემოკლებული. ფასი სამი აბაზი.

ბამოვიდა ბეჭდიდამ ვეფხვ. ალ. ბ. ... ...